GRASS
REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 226
თარიღი: 30 03 2017 წ.

GRASS
REFORMANDA

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,
„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40-ე მუხლით დადგენილ ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- შეიცავს თუ არა რომელიმე სასკოლო სახელმძღვანელო 2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსული ოკუპაციის შესახებ ინფორმაციას (გთხოვთ, მიგვითითოთ შესაბამისი სახელმძღვანელო/სახელმძღვანელოები)?

- გრიფირების ახალი ეტაპის ფარგლებში, იგეგმება თუ არა ახალ სახელმძღვანელოებში 2008 წლის ომისა და რუსული ოკუპაციის შესახებ ჩანაწერის დამატება (ასეთი გეგმის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დეტალურად მოგვაწოდოთ ინფორმაცია რომელი კლასის სახელმძღვანელოებში იგეგმება აღნიშნული ინფორმაციის დამატება და რა შინაარსის იქნება ის)?

- არის თუ არა სავალდებულო პედაგოგებისთვის რომელიმე საგნის ფარგლებში მოსწავლეებისათვის 2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსული ოკუპაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება?

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, დამატებით მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

✓ რომელი საგანი მოიცავს აღნიშნულ ვალდებულებას, რა შინაარსის არის ის და სავალდებულოა თუ არა საგანი ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ყველა სკოლისათვის?

✓ არსებობს, თუ არა კონკრეტული გაწერილი გეგმა/ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, პედაგოგები მოსწავლეებთან 2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსული ოკუპაციის შესახებ საუბრისას უნდა ხელმძღვანელობდნენ (ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ გეგმის/ინსტრუქციის ასლი)?

GRASS
REFORMANDA

- ✓ რომელ კლასებში ხდება მოსწავლეებთან აღნიშნულ თემებზე საუბარი?

- ✓ სემესტრის, წლის, კვირის განმავლობაში, რამდენი საათი ეთმობა აგვისტოს ომისა და რუსული ოკუპაციის თემის განხილვას (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი კლასების მიხედვით, ცალ-ცალკე)

პატივისცემით,
პაატა გაფრინდაშვილი
„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) დირექტორი

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის ქ. #27
საკონტაქტო პირი:
ნატალია ვახტანგაშვილი
მობ: 555260927 / e-mail: n.vakhtangashvili@factcheck.ge